

შპს „სკოლა ევრო 2000“-ის

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31
აგვისტოს დასრულებული წლისათვის დამოუკიდებელი
აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შპს “ევრო 2000”

სარჩევი

გვერდი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2019 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და დამტკიცების შესახებ	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	4
ფინანსური ანგარიშგება	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიში	7
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში	9
კაპიტალის მოძრაობის ანგარიში	10
ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები:	
1. შპს „სკოლა ევრო 2000“ და მისი საქმიანობა	11
2. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკების მიმოხილვა	11
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პროგნოზები	21
4. ძირითადი საშუალებები	23
5. მარაგები	25
6. ფული და ფულის ექვივალენტები	25
7. დებიტორული დავალიანება	25
8. სესხი	26
9. საწესდებო კაპიტალი	26
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	26
11. შემოსავალი	27
12. გაწეული მომსახურების თვითღირებულება	27
13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	28
14. პირობითი და ნაკისრი ვალდებულება	28
15. ფინანსური რისკების მართვა	29
16. ბალანსები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	31
17. ბალანსის შედგენის შემდეგ მომხდარი არამაკორექტირებელი მოვლენა	32
18. ბალანსის შედგენის შემდეგ მომხდარი მოვლენები	33

2019 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- 2019 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 19 მარტს.

მთავარი ბუღალტერი

და მექვაბიშვილი

19 მარტი 2020 წელი
საქართველო, ბათუმი



დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს „სკოლა ევრო 2000“-ის დამფუძნებლებსა და დირექტორებს:

ზგენ ჩავატარეთ შპს „სკოლა ევრო 2000“-ის (კომპანია) ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2019 წლის 31 აგვისტოსი, ასევე 2019 წლის 31 აგვისტოთი დასრულებული წლის ინდივიდუალური სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშები გარდა პირობითი მოსაზრების საფუძველზე მოცემული საკითხისა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „სკოლა ევრო 2000“-ის 2019 წლის 31 აგვისტოსათვის არსებულ ფინანსურ მდგომარეობას, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2019 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ დავეწარმოთ მარაგების ინვენტარიზაციას 2019 წლის 31 აგვისტოს, რადგან აღნიშნული თარიღი წინ უსწრებდა ჩვენი, როგორც აუდიტორებად დანიშვნის თარიღს. მარაგების ჯგუფის „ნედლეული და მასალები- სხვა“ სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება მარაგების რაოდენობასა და მათ ფიზიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით, მე-5 შენიშვნაში 2019 წლის 31 აგვისტოს წარმოდგენილ 95,609 ლარის ღირებულებაზე. ამიტომ ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა, რაიმე კორექტირების შეტანა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულ ან აღურიცხავ მარაგებთან და მათ ფიზიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ დავაკვირდით ძირითადი საშუალებების ჯგუფის „კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები, ავეჯი და სხვა ინვენტარი, სპეციალური ინსტრუმენტები“ ინვენტარიზაციას 2019 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, ჩვენ ვერ შევძელით ალტერნატიული პროცედურებით მიგვეღო მტკიცებულება. ამ გარემოების გათვალისწინებით, ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულების მოპოვება ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულებაზე, რომელიც მე-4 შენიშვნის თანახმად არის 251,371 ლარი, ასევე ვერ შევძელით განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების განხორციელება აღრიცხულ ან აღურიცხავ ძირითად საშუალებებთან დაკავშირებით და ასევე სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალის ცვლილებისა და ფულადი სახსრების ანგარიშგების ელემენტებთან დაკავშირებით.

დასკვნის საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ შპს „სკოლა ევრო 2000“-ისგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტის ძირითად საკითხად მიიჩნევა ისეთი საკითხი, რომელიც ჩვენი პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩვენ მიერ ჩატარებულ მიმდინარე პერიოდის აუდიტში. ეს საკითხები განვიხილეთ მხოლოდ ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბების კონტექსტში და ამ საკითხებზე არ გამოვთქვამთ ცალკე მოსაზრებას.

ხელმძღვანელობისა და ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს ცალკეული ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ცალკეული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია, შეაფასოს კომპანიის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (უწყვეტი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებული არიან, ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები ცალკეული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმუნებულება, რომ ცალკეული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით ან/და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს, გავცეთ ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი აუდიტორული დასკვნა. საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავედროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და

არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.


აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ ამოვიცნობთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის. რისკი იმისა რომ ვერ აღმოვაჩინოთ თაღლითობით გამოწვეული უზუსტობა მეტია ვიდრე ალბათობა იმისა, რომ ვერ შევამჩნიოთ შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით.

- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას.
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას.
- ვაკეთებთ დასკვნას იმის თაობაზე, თუ რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მხრიდან უწყვეტი საწარმოს პრინციპის გამოყენება. იმავდროულად, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის არასარწმუნოება ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი გაურკვეველობა არსებობს, ჩვენ ვაღიარებთ ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდევ დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენის ფორმას, სტრუქტურასა და შინაარს განმარტებების ჩათვლით და იმას, თუ რამდენად ობიექტურად წარმოადგენს ანგარიშგება ძირითად მოვლენებსა და ტრანზაქციებს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

ნატო რომანაძე
SARAS-A-526843



შპს „პრესტიჟ-აუდიტი“

2020 წლის 5 მაისი

საქართველო, ბათუმი



შპს „სკოლა ევრო 2000“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში

2019 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2019 წლის 31 აგვისტო	2018 წლის 31 აგვისტო*	2017 წლის 31 აგვისტო*
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	14 543 360	14 065 744	1 416 214
არამატერიალური აქტივი		2 450	3 550	4 650
სულ გრძელვადიანი აქტივები		14 545 810	14 069 294	1 420 864
მიმდინარე აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
დებიტორული დავალიანება	8	274 291	191 070	123 997
ავანსები და წინასწარ გაწეული ხარჯები		70 515	108 972	196 379
მარაგები	7	95 609	162 438	96 993
ფულადი სახსრები და მათი ექვი.	9	510 712	347 151	189 293
სხვა მიმდინარე აქტივები		356 032	261 727	-
სულ მიმდინარე აქტივები		1 307 159	1 071 356	606 662
სულ აქტივები		15 852 969	15 140 650	2 027 526
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება	10	2 338 314	1 661 639	1 210 301
გადაფასების რეზერვი		11 973 454	11 991 072	
სულ კაპიტალი		14 311 768	13 652 711	1 210 301
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხი	11	1 345 465	1 324 012	708 396
ფინანსური იჯარა				
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1 345 465	1 324 012	708 396
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	139 817	89 649	67 994
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	7		4 616	
დარიცხული ვალდებულებები			25 000	
საგადასახადო ვალდებულება		578		4 427
გადასახდელი ხელფასი		55 334	44 662	36 409
სულ მიმდინარე ვალდებულებები		195 736	163 927	108 829
სულ ვალდებულებები		1 541 201	1 487 939	817 225
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		15 852 969	15 140 650	2 027 526

*შესადარისი ინფორმაცია შეცვლილია წინა წელთან შედარებით სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებიდან გამომდინარე; კერძოდ საანგარიშგებო პერიოდად განსაზღვრულია 01 სექტემბრიდან 31 აგვისტოს ჩათვლით პერიოდი.

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 19 მარტს

დირექტორი _____ მთავარი ბუღალტერი _____
 მარინა ცივაძე _____
 ანზორ აბუსერიძე _____
 ია მექვაბიშვილი _____

2020 წლის 19 მარტი
 საქართველო, ბათუმი

შპს „სკოლა ევრო 2000“

მოგება-ზარალის ანგარიში

2019 წლის 31 აგვისტოსთვის დასრულებული წლისათვის

შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

	შენიშვნა	2019 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით	2018 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით *
ამონაგები	11	2 531 071	1 948 774
პირდაპირი ხარჯები		(807 746)	(698 144)
საერთო მოგება		1 722 575	1 250 630
პერსონალის ხარჯები		(391 802)	(243 182)
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები	12	(38 391)	(33 242)
ცვეთა და ამორტიზაცია		(45 866)	(45 596)
საგადასახადო ხარჯი		(30 652)	(19 449)
სესხის პროცენტის ხარჯი		(96 596)	(65 160)
საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი/მოგება		(175 621)	(51 804)
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		(75 300)	(72 338)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		-	(38)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		28 629	5 200
საანგარიშო წლის მოგება დაბეგვრამდე		897 728	725 022
განაწილებული დივიდენდები		(221 053)	(273 684)
საანგარიშო წლის მოგება		676 675	451 338

*შესადარისი ინფორმაცია შეცვლილია წინა წელთან შედარებით სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებიდან გამომდინარე; კერძოდ საანგარიშგებო პერიოდად განსაზღვრულია 01 სექტემბრიდან 31 აგვისტოს ჩათვლით პერიოდი.

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 19 მარტს

დირექტორი

მარინა ცივაძე

ანზორ აბუსერიძე

მთავარი ბუღალტერი

ნა მექვაბიშვილი

2020 წლის 19 მარტი

საქართველო, ბათუმი



შპს „სკოლა ევრო 2000“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში

2019 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის

	2019 წლის 31 აგვისტო	2018 წლის 31 აგვისტო
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მიღებულია დებიტორებისგან	2 488 712	1 818 588
მიღებული ავანსები		67 286
გაცემულია მომწოდებლებზე	(102 650)	(175 250)
გადახდილი გადასახადები	(214 660)	(172 542)
გადახდილია ხელფასები და სტიპენდიები	(858 638)	(676 363)
არა საოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	(165)	(6 731)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1 312 599	854 988
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხი		614 380
მიღებული პროცენტები	13 027	723
სესხის დაფარვა	(153 713)	(71 928)
მოგება/ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან	12 146	21 353
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(128 540)	564 528
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ინვესტიციები ძირითად აქტივებში	(688 902)	(961 498)
გადახდილი პროცენტები	(96 596)	(65 160)
გადახდილი დივიდენდები	(235 000)	(235 000)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(1 020 498)	(1 261 658)
წმინდა(კლება)/მატება ფულად სახსრებსა და მის ექვივალენტებში	163 561	157 858
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები წლის დასაწყისში	347 151	189 293
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები წლის ბოლოს	510 712	347 151

* შესადარისი ინფორმაცია შეცვლილია წინა წელთან შედარებით სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებიდან გამომდინარე; კერძოდ საანგარიშგებო პერიოდად განსაზღვრულია 01 სექტემბრიდან 31 აგვისტოს ჩათვლით პერიოდი.

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 19 მარტს

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

მარინა ცივაძე

იამეცვაბიშვილი

ანზორ აბუსერიძე

19 მარტი 2020 წელი

საქართველო, ბათუმი

2019 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის

10

შპს „სკოლა ევრო 2000“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში

2019 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2019 წლის 31 აგვისტო	2018 წლის 31 აგვისტო*	2017 წლის 31 აგვისტო*
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	14 543 360	14 065 744	1 416 214
არამატერიალური აქტივი		2 450	3 550	4 650
სულ გრძელვადიანი აქტივები		14 545 810	14 069 294	1 420 864
მიმდინარე აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
დებიტორული დავალიანება	8	274 291	191 070	123 997
ავანსები და წინასწარ გაწეული ხარჯები		70 515	108 972	196 379
მარაგები	7	95 609	162 438	96 993
ფულადი სახსრები და მათი ექვი.	9	510 712	347 151	189 293
სხვა მიმდინარე აქტივები		356 032	261 727	-
სულ მიმდინარე აქტივები		1 307 159	1 071 356	606 662
სულ აქტივები		15 852 969	15 140 650	2 027 526
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება	10	2 338 314	1 661 639	1 210 301
გადაფასების რეზერვი		11 973 454	11 991 072	
სულ კაპიტალი		14 311 768	13 652 711	1 210 301
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხი	11	1 345 465	1 324 012	708 396
ფინანსური იჯარა				
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1 345 465	1 324 012	708 396
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	139 817	89 649	67 994
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		7	4 616	
დარიცხული ვალდებულებები			25 000	
საგადასახადო ვალდებულება		578		4 427
გადასახდელი ხელფასი		55 334	44 662	36 409
სულ მიმდინარე ვალდებულებები		195 736	163 927	108 829
სულ ვალდებულებები		1 541 201	1 487 939	817 225
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		15 852 969	15 140 650	2 027 526

*შესადარისი ინფორმაცია შეცვლილია წინა წელთან შედარებით სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებიდან გამომდინარე; კერძოდ საანგარიშგებო პერიოდად განსაზღვრულია 01 სექტემბრიდან 31 აგვისტოს ჩათვლით პერიოდი.

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 19 მარტს.

დირექტორი	მთავარი ბუღალტერი
მარინა ცივაძე -----	ია მექვაბიშვილი -----
ანზორ აბუსერიძე -----	

2020 წლის 19 მარტი
საქართველო, ბათუმი

შპს „სკოლა ევრო 2000“

მოგება-ზარალის ანგარიში

2019 წლის 31 აგვისტოსთვის დასრულებული წლისათვის

შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

	შენიშვნა	2019 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით	2018 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით *
ამონაგები	11	2 531 071	1 948 774
პირდაპირი ხარჯები		(807 746)	(698 144)
საერთო მოგება		1 722 575	1 250 630
პერსონალის ხარჯები		(391 802)	(243 182)
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები	12	(38 391)	(33 242)
ცვეთა და ამორტიზაცია		(45 866)	(45 596)
საგადასახადო ხარჯი		(30 652)	(19 449)
სესხის პროცენტის ხარჯი		(96 596)	(65 160)
საკუროს სხვაობით მიღებული ზარალი/მოგება		(175 621)	(51 804)
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		(75 300)	(72 338)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		-	(38)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		28 629	5 200
საანგარიშო წლის მოგება დაბეგვრამდე		897 728	725 022
განაწილებული დივიდენდები		(221 053)	(273 684)
საანგარიშო წლის მოგება		676 675	451 338

*შესადარისი ინფორმაცია შეცვლილია წინა წელთან შედარებით სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებიდან გამომდინარე; კერძოდ საანგარიშგებო პერიოდად განსაზღვრულია 01 სექტემბრიდან 31 აგვისტოს ჩათვლით პერიოდი.

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 19 მარტს.

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

მარინა ცივაძე -----

ია მექვაბიშვილი -----

ანზორ აბუსერიძე -----

2020 წლის 19 მარტი

საქართველო, ბათუმი

შპს „სკოლა ევრო 2000“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში

2019 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის

	2019 წლის 31 აგვისტო	2018 წლის 31 აგვისტო
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მიღებულია დებიტორებისგან	2 488 712	1 818 588
მიღებული ავანსები		67 286
გაცემულია მომწოდებლებზე	(102 650)	(175 250)
გადახდილი გადასახადები	(214 660)	(172 542)
გადახდილია ხელფასები და სტიპენდიები	(858 638)	(676 363)
არა საოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	(165)	(6 731)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1 312 599	854 988
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხი		614 380
მიღებული პროცენტები	13 027	723
სესხის დაფარვა	(153 713)	(71 928)
მოგება/ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან	12 146	21 353
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(128 540)	564 528
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ინვესტიციები ძირითად აქტივებში	(688 902)	(961 498)
გადახდილი პროცენტები	(96 596)	(65 160)
გადახდილი დივიდენდები	(235 000)	(235 000)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(1 020 498)	(1 261 658)
წმინდა(კლება)/მატება ფულად სახსრებსა და მის ეკვივალენტებში	163 561	157 858
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	347 151	189 293
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის ბოლოს	510 712	347 151

* შესადარისი ინფორმაცია შეცვლილია წინა წელთან შედარებით სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებიდან გამომდინარე; კერძოდ საანგარიშგებო პერიოდად განსაზღვრულია 01 სექტემბრიდან 31 აგვისტოს ჩათვლით პერიოდი.

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 19 მარტს.

დირექტორი	მთავარი ბუღალტერი
მარინა ცივაძე -----	ია მექვაბიშვილი -----
ანზორ აბუსერიძე -----	

19 მარტი 2020 წელი

საქართველო, ბათუმი

შპს „სკოლა ევრო 2000“

კაპიტალის მოძრაობის ანგარიში

2019 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწი- ლებელი მოგება	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	სულ
ბალანსი 31 აგვისტო 2017	-	1 210 301	-	1 210 301
სულ წლის სრული შემოსავალი	-	725 022	11 991 072	12 716 094
გამოცხადებული დივიდენდი	-	(273 684)	-	(273 684)
ბალანსი 31 აგვისტო 2018	-	1 661 639	11 991 072	13 652 711
სულ წლის სრული შემოსავალი	-	897 728	(17 618)	880 110
გაუნაწილებელი მოგების სხვა ცვლილება	-	(221 053)	-	(221 053)
გამოცხადებული დივიდენდი	-	-	-	-
ბალანსი 31 აგვისტო 2019	-	2 338 314	11 973 454	14 311 768

* შესადარისი ინფორმაცია შეცვლილია წინა წელთან შედარებით სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებიდან გამომდინარე; კერძოდ საანგარიშგებო პერიოდად განსაზღვრულია 01 სექტემბრიდან 31 აგვისტოს ჩათვლით პერიოდი.

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 19 მარტს.

დირექტორი	მთავარი ბუღალტერი
მარინა ცივაძე -----	
ანზორ აბუსერიძე -----	ია მექვაბიშვილი -----
19 მარტი 2020 წელი	
საქართველო, ბათუმი	

შპს „სკოლა ევრო 2000“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2019 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის

1. შპს „სკოლა ევრო 2000“ და მისი საქმიანობა

შპს „სკოლა ევრო 2000“ ფუნქციონირებს 2001 წლის 12 აპრილიდან ქალაქ ბათუმში.

2019 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით უშუალო მფლობელია

მარინა ცივაძე 61002015321, საქართველო - 50%

ანზორ აბუსერიძე 61002002371, საქართველო - 50%

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად ბიზნეს საქმიანობას წარმოადგენს საკუთარი ან იჯარით აღებული არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა, ზოგადი საბაზო და საშუალო განათლების მომსახურება.

იურიდიული მისამართი და ადგილმდებარეობა. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქალაქი ბათუმი, გორგილამის ქ. N 89

ფაქტიური მისამართი და ადგილმდებარეობა. კომპანიის ფაქტიური მისამართია: საქართველო, ქალაქი ბათუმი, გორგილამის ქ. N 89

ანგარიშგების ვალუტა. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში.

2. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკების მიმოხილვა

მომზადების საფუძვლები. ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის პირველ წლიურ ფინანსურ ინფორმაციას, რომელიც სრულ შესაბამისობაშია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს).

მსს ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გარკვეულ კრიტიკულ საბუღალტრო შეფასებების გამოყენებას. იგი ასევე მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული მსჯელობების წარმართვას კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომლებიც მსჯელობის ან კომპლექსურობის მაღალ ხარისხს შეიცავს, ასევე სფეროები, რომლებშიც ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოიცავს.

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში გამოყენებული ძირითადი საბუღალტრო პოლიტიკები მოცემულია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ფინანსური ინსტრუმენტები – გაზომვის ძირითადი პირობები.

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

მსს ფასს მე-11 განყოფილების თანახმად, საწარმომ ყველა ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტის აღრიცხვისთვის უნდა გამოიყენოს ამორტიზებული ღირებულების მოდელი, გარდა არაკონვერტირებად პრივილეგირებულ აქციებსა და

არადაბრუნებად ჩვეულებრივ ან პრივილეგიურულ აქციებში განხორციელებული ინვესტიციებისა, რომლებიც საჯაროდ იყიდება ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, ან რომელთა რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება სხვაგვარად არის შესაძლებელი მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე.

მსს ფასს მე-11 განყოფილების მიხედვით - „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები“, საწარმო ძირითად ფინანსურ აქტივებსა და ძირითად ფინანსურ ვალდებულებებს აღიარებს ამორტიზებული ღირებულებით, გაუფასურების ზარალის გამოკლებით, გარდა არაკონვერტირებად პრივილეგიურულ აქციებსა და არადაბრუნებად ჩვეულებრივ ან პრივილეგიურულ აქციებში განხორციელებული ინვესტიციებისა, რომლებიც საჯაროდ იყიდება ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, ან რომელთა რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება სხვაგვარად არის შესაძლებელი, მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე და მათი შეფასება ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო რეალურ ღირებულებაში მომხდარი ცვლილებები აისახება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

- თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;
- გამოკლებული ძირითადი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;
- მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და
- გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

იმისათვის, რომ საწარმომ შეაფასოს, ამა თუ იმ მოთხოვნის შესრულებას დასჭირდება თუ არა მიზანშეუწონელი დანახარჯები ან ძალისხმევა ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარებისას, მაგალითად მსს სტანდარტზე გადასვლის თარიღისთვის, იგი უნდა დაეყრდნოს თავდაპირველი აღიარების მომენტისთვის ამ მოთხოვნასთან დაკავშირებულ დანახარჯებსა და სარგებელს. თუ მიზანშეუწონელი

დანახარჯის ან ძალისხმევის მიზეზით განთავისუფლება შეეხება თავდაპირველი აღიარების შემდგომ პერიოდსაც, მაგალითად მუხლის შემდგომ შეფასებას, მაშინ ამ შემდგომი თარიღისთვის ხელახლა უნდა შეფასდეს მიზანშეუწონელი დანახარჯები ან ძალისხმევა, მოცემული თარიღისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე.

საზოგადოდ, საწარმო ყველა სხვა ფინანსურ აქტივსა და ფინანსურ ვალდებულებას აღიარებს რეალური ღირებულებით, ხოლო რეალურ ღირებულებაში მომხდარ ცვლილებებს ასახავს მოგებაში ან ზარალში, თუ წინამდებარე სტანდარტით არ მოითხოვება ან ნებადართული არ არის ღირებულების განსაზღვრა სხვა საფუძველით, მაგალითად თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით.

არაფინანსური აქტივები

არაფინანსური აქტივების უმეტესობა, რომლებსაც საწარმო თავდაპირველად პირვანდელი ღირებულებით აღიარებს, შემდგომში შეფასდება სხვა საფუძველით.

ძირითად საშუალებებს აფასებს დაგროვილი ცვეთითა და გაუფასურებით შემცირებულ თვითღირებულებასა და ანაზღაურებად ღირებულებას შორის უმცირესი თანხით (თვითღირებულების მოდელი), ან გადაფასებულ ღირებულებასა და ანაზღაურებად ღირებულებას შორის უმცირესი თანხით (გადაფასების მოდელი).

მარაგს აფასებს თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით; და გაუფასურების ზარალს აღიარებს ისეთ არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებით, რომლებიც ან გამოყენების პროცესშია, ან გამიზნულია გასაყიდად.

აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

აღიარება არის საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში იმ მუხლის ასახვის პროცესი, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის, ვალდებულების, შემოსავლის ან ხარჯის განმარტებას და შემდეგ კრიტერიუმებს:

- მოსალოდნელია ამ მუხლით გამოწვეული მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა ან საწარმოდან გასვლა; და
- მუხლს გააჩნია თვითღირებულება ან ღირებულება, რომელიც შეიძლება საიმედოდ შეფასდეს. თუ არ აღიარდება მუხლი, რომელიც აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს, ამის გამოსწორება არ შეიძლება არც გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებით და არც განმარტებით შენიშვნებში ან სხვაგან რაიმე განმარტებითი ინფორმაციის გამჟღავნების გზით.

მომავალი ეკონომიკური სარგებლის აღზატობა

ფინანსური ანგარიშგების ამა თუ იმ ელემენტის თავდაპირველი აღიარების კრიტერიუმში აღზატობის ცნებას იყენებენ მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლის ან საწარმოდან გასვლისთვის დამახასიათებელი განუსაზღვრელობის ხარისხის დასადგენად. მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოძრაობისთვის დამახასიათებელი განუსაზღვრელობის ხარისხის შეფასება ეყრდნობა იმ მტკიცებულებებს/ინფორმაციას, რომელიც ეხება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებულ პირობებს/გარემოებებს, როდესაც მზადდება ფინანსური ანგარიშგება. ამგვარი შეფასებები ცალ-ცალკე კეთდება ყველა ინდივიდუალურად

მნიშვნელოვანი მუხლისთვის და ასევე ინდივიდუალურად უმნიშვნელო მუხლებისგან შემდგარი დიდი ჯგუფისთვის.

აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების შეფასება

შეფასება არის ფულადი სიდიდეების განსაზღვრის პროცესი, რომლის მიხედვითაც ხდება აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ეს პროცესი გულისხმობს შეფასებისთვის გარკვეული საფუძვლის შერჩევას. წინამდებარე სტანდარტი ადგენს, შეფასების რომელი საფუძველი უნდა გამოიყენოს საწარმომ სხვადასხვა ტიპის აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების შეფასებისთვის.

შეფასების ორი ყველაზე გავრცელებული საფუძველია პირვანდელი ღირებულება და რეალური ღირებულება:

- აქტივების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, ან გაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულება. ვალდებულების პირვანდელი ღირებულება არის მიღებული ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, ან ვალდებულების სანაცვლოდ მიღებული არაფულადი აქტივების რეალური ღირებულება ვალდებულების წარმოქმნის მომენტისათვის, ან, ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, მოგების გადასახადისთვის), იმ ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, რომლის საწარმოდან გასვლა მოსალოდნელია ვალდებულების დასაფარად საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. ამორტიზებული პირვანდელი ღირებულება არის აქტივის ან ვალდებულების პირვანდელ ღირებულებას პლუს, ან მინუს მისი პირვანდელი ღირებულების ის ნაწილი, რომელიც ადრე აღიარებული იყო როგორც ხარჯი, ან შემოსავალი;

- რეალური ღირებულება არის თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიყვალოს ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით განხორციელებულ გარიგებაში. ისეთ სიტუაციაში, როდესაც ნებადართულია ან მოითხოვება რეალური ღირებულების შეფასება.

შეფასება თავდაპირველი აღიარებისას

თავდაპირველი აღიარებისას საწარმომ აქტივები და ვალდებულებები უნდა შეაფასოს პირვანდელი ღირებულებით, თუ წინამდებარე სტანდარტით სხვა საფუძვლის გამოყენება არ მოითხოვება, როგორცაა, მაგალითად რეალური ღირებულება.

შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

უმცირესი ღირებულებებით აქტივების შეფასების მიზანია იმის უზრუნველყოფა, რომ აქტივები შეფასებული არ იყოს იმაზე უფრო დიდი ღირებულებით, რა სიდიდის სარგებლის მიღებასაც მოელის საწარმო აქტივის გაყიდვის ან გამოყენების შედეგად.

არაფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების გარდა, ყველა სხვა ვალდებულების უმეტესობა აღიარდება იმ თანხის ოდენობის საუკეთესო შეფასებით, რომელიც საჭიროა ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო თარიღისათვის.

ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში. შვილობილი კომპანია არის პირი, რომელზეც კომპანიას გააჩნია კონტროლი. კონტროლი არსებობს მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს უფლება, მიიღოს ცვლადი ხასიათის უკუგება ინვესტირების ობიექტთან ურთიერთობის შედეგად და აქვს უნარი, ზეგავლენა მოახდინოს ამ უკუგებაზე ინვესტირების ობიექტზე არსებული ძალაუფლების შედეგად.

საწარმომ ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში, მეკავშირე საწარმოებსა და ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებში აღრიცხოს ერთერთი შემდეგი მეთოდით:

თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით;

რეალური ღირებულებით, ხოლო რეალური ღირებულების ცვლილება აღიაროს მოგებაში ან ზარალში; ან

წილობრივი მეთოდის გამოყენებით.

თუ საწარმო, რომელიც პირველად იყენებს მსს ფასს-ს, ამგვარ ინვესტიციას აფასებს თვითღირებულებით, მან ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღისთვის ეს ინვესტიცია უნდა შეაფასოს შემდეგი სიდიდეებიდან ერთ-ერთით:

ფუნქციონალური ვალუტა. კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ყველა ელემენტის საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც ეს კომპანია ახორციელებს საქმიანობას (“ფუნქციონალური ვალუტა”). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი („ლარი“). კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც: იმყოფება საწარმოს განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის წარმოებაში, საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; და გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

ისეთი ელემენტები, როგორიცაა სათადარიგო ნაწილები, დამხმარე მოწყობილობები და ტექნომსახურებისა და რემონტისთვის განკუთვნილი მოწყობილობები აღიარდება წინამდებარე განყოფილების შესაბამისად, როდესაც ისინი აკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას. სხვა შემთხვევაში, კლასიფიცირდება როგორც მარაგი.

საწარმომ ძირითადი საშუალება თავდაპირველი აღიარებისას უნდა შეაფასოს თვითღირებულებით.

ძირითადი საშუალების თვითღირებულება განისაზღვრება აღიარების თარიღისთვის გადასახდელი მიმდინარე ფასის ეკვივალენტური ოდენობით. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პერიოდი აღემატება სტანდარტულ პერიოდს, მაშინ ძირითადი საშუალების თვითღირებულება იქნება ყველანაირი სამომავლო გადასახდელების დღევანდელი ღირებულება.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საწარმომ ყველა ძირითადი საშუალება უნდა აღრიცხოს მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

საწარმომ აქტივის ცვეთადი ღირებულება უნდა გაანაწილოს სისტემატურ საფუძველზე, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ცვეთა. მიწასა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში მათ სასარგებლო ვადაზე მათი ღირებულების თანაბარი განაწილებით:

	სასარგებლო გამოყენების ვადა წლებში:
შენობა-ნაგებობა	50
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
ოფისის აღჭურვილობა	5-10
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5-10

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის ის საანგარიშო თანხა, რომელსაც კომპანია ახლა მიიღებდა აქტივის რეალიზაციიდან რეალიზაციის საანგარიშო ხარჯების გამოკლებით, თუ აქტივი უკვე ხანდაზმული იქნებოდა და იმ მდგომარეობაში იქნებოდა, რომელიც მოსალოდნელია მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ბოლოს. აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადა ექვემდებარება გადახედვას და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

მოგების გადასახადები. მოგების გადასახადები ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საანგარიშო პერიოდის დასრულებისთვის მიღებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადებს და აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღიარებულია სხვა მთლიან შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, რადგან ის დაკავშირებულია ასევე აღიარებულ ტრანზაქციებთან, იმავე ან სხვადასხვა პერიოდში, სხვა მთლიან შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომლის გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის ან რომლის დაბრუნება მოსალოდნელია

შპს „სკოლა ევრო 2000“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2019 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის

საგადასახადო ორგანოებიდან დასაბეგრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით მიმდინარე ან წინა პერიოდებისთვის. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება გაანგარიშებებს, თუ ფინანსური ანგარიშგება ნებადართულია შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების წარდგენამდე. მოგების გადასახადების გარდა სხვა გადასახადები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა მთლიანი შემოსავლის ანგარიშში.

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით (2017 წლამდე მოქმედი მოდელით კომპანიის მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით გაიშვებოდა). აღნიშნულ ცვლილებას მყისიერი ეფექტი ჰქონდა გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ნაშთებზე, რომლებიც წინა პერიოდებში აღიარებული დროებითი სხვაობებით იყო გამოწვეული.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის ახალი, ზემოთ აღწერილი ვარიანტი აგრეთვე ითვალისწინებს მოგების გადასახადის დარიცხვას გარკვეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც მოგების განაწილებად ითვლება. ასეთებია, მაგალითად, ზოგიერთი ტრანზაქცია, რომელიც არასაბაზრო ფასით მიმდინარეობს, მოიცავს ბიზნესთან არადაკავშირებულ ხარჯებს ან მომსახურების უფასოდ მიწოდებას.

მარაგები. საწარმომ მარაგი უნდა შეაფასოს თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მის შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

საწარმომ ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უნდა შეაფასოს, გაუფასურებულია თუ არა მისი მარაგი, რაც იმას ნიშნავს, რომ შეუძლებელია მათი საბალანსო ღირებულების სრულად ანაზღაურება (მაგალითად, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს მარაგის დაზიანებით, მისი მოძველებით ან გასაყიდი ფასების დაცემით). იმ შემთხვევაში, თუ მარაგის ერთეული (ან ერთეულთა ჯგუფი) გაუფასურდა, ამ პუნქტების მიხედვით, საწარმომ მარაგი უნდა შეაფასოს მათი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასით და აღიაროს გაუფასურების ზარალი. ზემოაღნიშნული პუნქტები, ზოგიერთ შემთხვევაში, ასევე მოითხოვს წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის აღდგენას.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შესაძლო გაუფასურების დანაკარგი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება.

მიუღებელი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამის გაუფასურების ზარალის რეზერვის ხარჯზე – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ. მანამდე ჩამოწერილი თანხების შემდგომში ამოღებული ნაწილი მიუკუთვნება მოგება-ზარალის უწყისში გაუფასურების ზარალის ანგარიშს.

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება არ არის მოსალოდნელი ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ბანკთაშორის განთავსებულ მოთხოვნამდე დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

განკარგვის უფლებით შეზღუდული ფულადი ნაშთები ბანკის დეპოზიტის ჩათვლით ამოღებულია ფული და ფულის ექვივალენტებიდან ფულადი სახსრების ანგარიშგებისთვის. ნაშთები, რომლებიც აკრძალულია გაცვლისათვის ან გამოიყენება ვალდებულების დასაფარად სულ მცირე ანგარიშგების პერიოდის თორმეტი თვის შემდეგ წარმოდგენილია შეზღუდულ დეპოზიტებში ფინანსური პოზიციის ანგარიშგებაში.

პარტნიორთა კაპიტალი. საზოგადოების კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდების შესაბამისად. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (ცვლილებები მფლობელობაში, წილის ოდენობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე

დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ.

ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელების მიერ რომლებიც განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად, მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის არის აღიარებული, როგორც გადახდილი კაპიტალი.

დივიდენდები. დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შემენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აისახება ნეტო მეთოდით. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

სესხები. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები არის საპროცენტო და სხვა დანახარჯები, რომლებსაც საწარმო ეწევა ნასესხები სახსრების მიღებასთან დაკავშირებით. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯებია: (ა) ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გაანგარიშებული საპროცენტო ხარჯი, როგორც ეს აღწერილია მე-11 განყოფილებაში - „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები“; (ბ) ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული ფინანსური ხარჯები, რომელიც აღიარებულია მე-20 განყოფილების - „იჯარა“ - შესაბამისად; და (გ) უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხებთან დაკავშირებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობების ის ნაწილი, რომელიც მიიჩნევა საპროცენტო დანახარჯების კორექტირებად.

საწარმომ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი უნდა აღიაროს როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

სავაჭრო და სხვა დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როცა კონტრაგენტი ასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამგვარი დავალიანებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება. კომპანიის საოპერაციო და საანგარიშო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა – ლარი.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით. რეალური ღირებულებით წარმოდგენილი არაფულადი პუნქტების, მათ შორის, სააქციო ინვესტიციების, გადაყვანა ხორციელდება რეალური ღირებულების განსაზღვრის დღეს არსებული სავალუტო კურსების გამოყენებით.

2018 წლის 31 დეკემბრისთვის, ოფიციალური გაცვლითი კურსი, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, იყო:

	31 აგვისტო 2019	31 აგვისტო 2018
ლარი/1 აშშ დოლარი	2.9457	2.5803
ლარი/1 ევრო	3.2523	3.0184

შემოსავლის აღიარება. შემოსავლის აღიარება აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებისა და შეფასების პროცესის პირდაპირი შედეგია. საწარმომ შემოსავალი უნდა აღიაროს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში (ან მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარდგენილია) იმ შემთხვევაში, როდესაც იზრდება აქტივის ზრდასთან ან ვალდებულების შემცირებასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი დაამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება საქონლის მოსალოდნელი დაბრუნების, ფასდათმობისა და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე.

ხარჯები

ხარჯების აღიარება აქტივებისა და ვალდებულების აღიარებისა და შეფასების პროცესის პირდაპირი შედეგია. საწარმომ უნდა აღიაროს ხარჯი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში (ან მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, მისი წარდგენის შემთხვევაში) იმ შემთხვევაში, როდესაც მცირდება აქტივის შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

ფინანსური ანგარიშგებების შესწორება გამოყენების შემდეგ. ნებისმიერი ცვლილება ფინანსურ ანგარიშგებაში, ფინანსური ანგარიშგების გამოცემის შემდეგ, საჭიროებს კომპანიის ხელმძღვანელობის დადასტურებას, რომელთა მიერ მოხდა ამ ფინანსური ანგარიშების გამოსაცემად უფლებამოსილების მინიჭება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პროგნოზები, და მოსაზრებები აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში

კომპანია იყენებს პროგნოზებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების თანხებზე მომავალ საანგარიშო პერიოდში. პროგნოზებისა და შეფასებების ანალიზი ტარდება მუდმივად და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც გონივრულია არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა ასევე იყენებს შეფასებებს (იმათ გარდა, რომლებიც მოიცავენ პროგნოზებს) აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში. ის შეფასებები, რომელთაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და ის პროგნოზი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი შესწორება, მოიცავს:

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი. მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გაანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის გავლენა კომპანიის ოპერაციებზე.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადების გაანგარიშება შეფასების საქმეა და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებით არსებულ გამოცდილებას. ამ აქტივებში ჩადებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის შთანთქმა ძირითადად მოხმარების მეშვეობით ხდება. ამასთან, სხვა ისეთი ფაქტორებიც, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა ხშირად იწვევს ამ აქტივებში ჩადებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მნიშვნელოვნად შემცირებას. მენეჯმენტი დარჩენილი სასარგებლო გამოყენების ვადების გაანგარიშებას ახორციელებს აქტივების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობისა და იმ საანგარიშო პერიოდის

შპს „სკოლა ევრო 2000“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2019 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის

გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია კომპანიის მიერ ამ აქტივებიდან სარგებლის მიიღება. მხედველობაში მიიღება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და ტექნოლოგიური განვითარების გეგმაზე; და (გ)

საბაზრო პირობებში მომხდარი ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური და კომერციული მოძველება.

შპს „სკოლა ევრო 2000“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2019 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის

4. ძირითადი საშუალებები

კომპანიის კუთვნილი ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	მიწის ნაკვეთები	დაუმთავ- რებელი მშენებლობა	შენობები	კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სპეციალური ინსტრუმენტები	სატრანსპორტო საშუალებები	საბიზლი- ოთეკო ფონდი	სულ
ღირებულება 31 აგვისტო 2017	1	899 772	353 854	52 481	204 201	31 207	17 869	27 101	1 586 486
ჩამოწერა									
შეძენა	11 023 599	664 518	967 473	8 280	28 067	578	-	1 511	12 694 026
გასვლა									-
ღირებულება 31 აგვისტო 2018	11 023 600	1 564 290	1 321 327	60 761	232 268	31 785	17 869	28 612	14 280 512
შეძენა/აფასება		451 139		27 145	60 987			1 119	540 389
გაყიდვა/გასვლა				(360)	(29)				(389)
გადატანა									-
ღირებულება 31 აგვისტო 2019	11 023 600	2 015 429	1 321 327	87 546	293 226	31 785	17 869	29 730	14 820 512
დაგროვილი ცვეთა	-	-	70 064	30 426	81 100	17 631	15 547	-	214 768

შპს „სკოლა ევრო 2000“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2019 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის

31 აგვისტო 2018									
დაგროვილი ცვეთა 31 აგვისტო 2019	-	-	99 527	38 927	101 448	20 810	16 440	277 152	

**წმინდა საბალანსო
ღირებულება**

31 აგვისტო 2018	11 023 600	1 564 290	1 251 263	30 334	151 168	14 153	2 322	28 612	14 065 744
31 აგვისტო 2019	11 023 600	2 015 429	1 221 800	48 619	191 778	10 974	1 429	29 730	14 543 360

კომპანიის ბალანსზე არსებული მიწა (ს/კ 05.23.12.019) და შენობა-ნაგებობა იპოთეკით არის დატვირთული სესხის უზრუნველსაყოფად. კომპანიას გააჩნია ფართი, რომლის მიზნობრიობაც იჯარით გაცემაა. რადგანაც მშენებლობის ექსპლოატაციაში მიღება მოხდა კალენდარული წლის ბოლოს, რომელიც სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების საფუძველზე არ ემთხვევა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, შესაბამისად აქტივის აღიარება მიმდინარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ მომხდარა საინვესტიციო ქონებად.

შპს „სკოლა ევრო 2000“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2019 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის

5. მარაგები

კომპანიას სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების სახით გააჩნია სკოლის რემონტისათვის საჭირო მასალები და მედიკამენტები:

მარაგები	31.08.2019	31.08.2018
ნედლეული და მასალები	95 609	162 270
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი (მედიკამენტები)	-	167
ჯამი	95 609	162 438

6. ფული და ფულის ეკვივალენტები

2018-2019 წლების 31 აგვისტოს მდგომარეობით, ფული და ფულის ეკვივალენტების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

ფულადი სახსრები და მათი ექვი.	31.08.2019	31.08.2018
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	491 561	26 821
უცხოურ ვალუტა რეზიდენტ ბანკში		
ფული სხვა საბანკო ანგარიშზე	19 151	320 330
სულ	510 712	347 151

7. დებიტორული დავალიანება

კომპანიას 2018-2019 წლების 31 აგვისტოს მდგომარეობით დებიტორული დავალიანების ბალანსი მოიცავს შემდეგს:

დებიტორული დავალიანება და ავანსები	31.08.2019	31.08.2018
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	292 206	207 726
უიმედო ვალები	(17 915)	(16 665)
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	-	8
ჯამი	274 291	191 070

სკოლა უიმედო ვალების რეზერვს ადგენს წინა წლების გამოცდილებიდან გამომდინარე ინდივიდუალური მიდგომით თითოეულ დებიტორთან, ახდენს საექვო ვალების ანალიზს და შემდგომ მის ჩამოწერას. შესაბამისად ბალანსში სავაჭრო მოთხოვნები წარმოდგენილია რეალური ღირებულებით.

შპს „სკოლა ევრო 2000“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2019 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის

8. სესხები

კომპანიას 2018-2019 წლების 31 აგვისტოს მდგომარეობით გააჩნია გრძელვადიანი მიღებული სესხები

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	ვადანობა	31 აგვისტო 2019		31 აგვისტო 2018	
				ექვ. ლარში	USD	ექვ. ლარში	USD
პროკრედიტ ბანკი N14725, 31.07.2018	USD	8,20%	10.08.2023	368 257,66	125 015,33	387 045,00	150 000,00
პროკრედიტ ბანკი N13401, 12.10.2016	USD	7,00%	12.10.2026	230 675,62	78 309,27	223 131,00	86 474,83
პროკრედიტ ბანკი N14036, 29.05.2017	USD	7,00%	31.05.2027	244 934,28	83 149,77	234 738,02	90 973,15
პროკრედიტ ბანკი N14173, 27.07.2017	USD	7,00%	27.07.2027	248 883,55	84 490,46	237 959,91	92 221,80
პროკრედიტ ბანკი N14231, 19.09.2017	USD	7,00%	20.09.2027	252 714,37	85 790,94	241 137,91	93 453,44
სულ სესხები				1 345 465,47	456 755,77	1 324 011,84	513 123,22

9. საწესდებო კაპიტალი

2019 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით კომპანიის უშუალო მფლობელია

მარინა ცივაძე, საქართველო -50%

ანზორ აბუსერიძე საქართველო - 50%

საზოგადოების დივიდენდების განაწილების პრინციპი განისაზღვრება პარტნიორთა მიერ დამტკიცებული წლიური ბალანსის საფუძველზე საზოგადოების სამუშაო კაპიტალის, კაპიტალური დანახარჯების, დავალიანებისა და სხვა ფინანსური მოთხოვნების გათვალისწინებით.

ხარჯების დაფინანსების მიზნით, ხოლო დანარჩენ მოგებას ანაწილებს პარტნიორებზე.

პარტნიორებზე 2018 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით პარტნიორებზე გაიცა დივიდენდი 273,684 ლარის ოდენობით, რაც შეეხება 2019 წელს, 31 აგვისტოს მდგომარეობით გამოცხადებულია 221,053 ლარის დივიდენდი.

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

2019 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

შპს „სკოლა ევრო 2000“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2019 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის

კრედიტორული დავალიანება	31.08.2019	31.08.2018
სავაჭრო ვალდებულებები	56 209	33 280
მიღებული ავანსები	83 608	56 369
ჯამი	139 817	89 649

11. შემოსავალი

კომპანიის შემოსავლის წყაროა, საკუთარი ან იჯარით აღებული არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა, ზოგადი საბაზო და საშუალო განათლების მომსახურება.

ამონაგები	31.08.2019	31.08.2018
შემოსავალი მოსწავლეების გადასახადიდან	1 976 354	1 484 492
შემოსავალი ვაუჩერიდან	271 675	232 675
შემოსავალი იჯარიდან	282 292	231 607
სულ შემოსავალი	2 530 321	1 948 774

12. თვითღირებულება

რეალიზაციის თვითღირებულება შედგება შემდეგი პირდაპირი ხარჯებისაგან:

	31.08.2019	31.08.2018
პირდაპირი ხარჯი		
პედაგოგების ხელფასი	784 499	687 048
სტიპენდია	3 000	2 138
მოსწავლეთა წახალისების ხარჯი	3 198	3 486
მოსწავლეთა კვების ხარჯი	17 049	5 472
სულ რეალიზაციის თვითღირებულება	807 746	698 144

13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები შედგება შემდეგისაგან:

	31.08.2019	31.08.2018
შრომის ანაზღაურება	391 802	243 182
საგასახადო ხარჯები	30 652	19 449
ბანკის მომსახურება	888	1 804
მივლინების ხარჯი	1 334	1 205
საკანცელარიო ხარჯი	6 836	5 248
კომპიუტერის ხარჯი	1 558	2 678
ძირ. საშუალებების ცვეთა	45 866	45 596
წარმომადგენლობითი ხარჯი	1 469	862
მიმდინარე რემონტი	7 334	6 371
საქველმოქმედო ხარჯი	-	200
კომუნალური ხარჯი	36 200	30 822
კომუნიკაციის ხარჯი	2 191	2 420
სამეურნეო ხარჯი	16 961	-
ავტომანქანის ხარჯი	4 446	-
სხვა ხარჯი	34 476	53 969
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	582 011	413 807

14. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. პერიოდულად და ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, კომპანიის მიმართ შეიძლება წარმოდგენილი იყოს მოთხოვნები. ანგარიშგების თარიღისთვის, მენეჯმენტი არ არის საქმის კურსში კომპანიის მიმართ რაიმე მოთხოვნის თაობაზე, რომელსაც შესაძლებელია გავლენა ჰქონდეს კომპანიის ფინანსურ პოზიციაზე.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანია მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებისათვის ინფორმაციაზე წვდომა ღიაა სამი წლის განმავლობაში.

შპს „სკოლა ევრო 2000“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2019 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის

საოპერაციო გარემო. საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებული ბაზრების უმეტესობაზე, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, კვლავ ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოში საგადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ფისკალურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, რეგულირების და პოლიტიკური განვითარების პარალელურად.

15. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების მაჩვენებლების ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნება. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის მიზანია შიდა პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

	2019 წლის 31 აგვისტო	2018 წლის 31 აგვისტო
ფული და ფულის ექვივალენტი	510 712	347 151
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	273 541	191 070
კრედიტორული დავალიანებები	(139 817)	(89 649)
სულ საკრედიტო რისკი	644 436	448 571

31 აგვისტო 2018

GEL	USD 1 = 2.5922 GEL	EUR 1 = 3.1044 GEL	ექვივალენტი ჯამი
-----	-----------------------	-----------------------	------------------

ფინანსური აქტივები

ფული და ფულის ექვივალენტები	26 821	320 329,59	347 151
--------------------------------	--------	------------	----------------

შპს „სკოლა ევრო 2000“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2019 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	191 070			191 070
სულ ფინანსური აქტივები	217 891	320 330	-	538 220

ფინანსური ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(89 649)			(89 649)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(89 649)	-	-	(89 649)
სულ წმინდა პოზიცია	307 540	320 330	-	627 869

31 აგვისტო 2019

	GEL	USD 1 = 2.6766 GEL	EUR 1 = 3.0701 GEL	ექვივალენტი ჯამი
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	491 561	19 151		510 712
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	273 541			273 541
სულ ფინანსური აქტივები	765 102	19 151	-	784 253
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(139 817)			(139 817)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(139 817)	-	-	(139 817)
სულ წმინდა პოზიცია	904 919	19 151	-	924 070

საკრედიტო რისკი. კომპანიაზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის ფინანსური ზარალის რისკს იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე დროულად ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებას. საკრედიტო რისკი გამომდინარეობს კომპანიის მიერ კონტრაგენტებზე კრედიტით გაყიდული პროდუქტებიდან და ასევე ჯგუფის მიერ კონტრაგენტებთან განხორციელებული სხვა ოპერაციებიდან, რომლებიც ფინანსურ აქტივებს წარმოშობს.

საბაზრო რისკი. კომპანიაზე გავლენას ახდენს საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი გამომდინარეობს (ა) უცხოურ ვალუტაში, (ბ) პროცენტიან აქტივებში და ვალდებულებებში და (გ) წილობრივ ფინანსურ ინსტრუმენტებში არსებული ღია პოზიციებიდან, რომლებზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები. მენეჯმენტი აწესებს ლიმიტებს მისაღები რისკის მოცულობაზე და ამ მოცულობაზე ახორციელებს ყოველდღიურ მონიტორინგს. ამასთან, ამ მიდგომის გამოყენება არ გამორიცხავს ზარალს ამ ლიმიტების მიღმა ბაზარზე უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკების ქვემოთ წარმოდგენილი გავლენა ეფუძნება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას ყველა სხვა ფაქტორის უცვლელობის პირობებში. პრაქტიკაში ეს სავარაუდოდ არ მოხდება და ზოგიერთ ფაქტორში მომხდარი ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს. ამის მაგალითია საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსის ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტებში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. სავალუტო რისკდამოკიდებულების სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს კომპანია არ იყენებს.

კაპიტალის რისკი. კომპანია კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ კომპანიამ შეძლოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსით საქმიანობის გაგრძელება, ხოლო აქციონერებმა, სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზების გზით, მაქსიმალურად გაზარდონ თავიანთი უკუგება.

საპროცენტო რისკი. კომპანია საპროცენტო რისკის სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს არ იყენებს. თუმცა, კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეული ნაწილი ფიქსირებულ განაკვეთიანია და, ამდენად, რისკი მცირეა.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა აკონტროლებს საკმარისი ფულადი სახსრების ქონას, ასევე დაფინანსების წყაროების ხელმისაწვდომობას და უნარს დაფაროს ყველა ვალდებულება. კომპანია ამ ეტაპზე უზრუნველყოფს მოქნილობას მომწოდებლის მიერ კრედიტორული ლიმიტის შენარჩუნების გზით.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჭირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

შპს „სკოლა ევრო 2000“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2019 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის

სამუშაო კაპიტალისთვის საჭიროზე მეტი ფულადი სახსრებით იფარება სარეალიზაციო საქონლის მომწოდებლის კრედიტორული დავალიანება რომელიც აღრიცხულია მოკლევადიან ვალდებულებად, კომპანიას აქვს განზრახული მიღებული მოგების ხარჯზე მოზიდული ფულადი სახსრებით მაქსიმალურად შეამციროს კრედიტორული დავალიანების ნაშთი, კომპანიის უნარის, დაფაროს სხვა არაურთიერთდამოკიდებული კრედიტორების დავალიანება, გაუარესების გარეშე.

16. ბალანსები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიის მაკონტროლებელი პირები არიან მარინე ცივაძე და ანზორ აბუსერიძე .

შპს „სკოლა ევრო 2000“-ს სასესხო ურთიერთობები არ გააჩნდა დაკავშირებულ მხარეებთან.

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ბასს 24 „დაკავშირებული მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ მიხედვით, არის, როდესაც:

ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ:

აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ესმოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;

ბ) მხარე არის საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;

გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;

დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (დ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე. ჯგუფისა და მისი დაკავშირებული მხარეების არსებითი ურთიერთობის დეტალები მოცემულია ქვემოთ.

17. ბალანსის შედგენის შემდეგ მომხდარი არამაკორექტირებელი მოვლენა

2019 წლის ბოლოს და 2020 წლის დასაწყისში გამოჩნდა არსებითი ინფორმაცია მსოფლიო მასშტაბით იმის თაობაზე, რაც ამჟამად უკვე იდენტიფიცირებულია, როგორც კორონავირუსი. აღნიშნული პანდემია მსოფლიო ეკონომიკის შემაფერხებელ ძალად იქცა. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია ახალი კორონავირუსით გამოწვეული ეფექტის შეფასება კომპანიის მომავალი ფუნქციონირების ასპექტში. გამომდინარე იქედან, რომ განათლების სისტემა მაქსიმალურად მოკლე დროში

მოერგო აღნიშნულ შემაფერხებელ ვითარებას, სკოლა „ევრო 2000“-იც მოერგო ახალ რეალობას. სასწავლო პროცესი ხორციელდება ონლაინ რეჟიმში, რის გამოც პანდემიას არსებითი გავლენა არ მოუხდენია სკოლის შემოსავლებზე, არ შეწყვეტილა და არ შემცირებულა თანამშრომლებზე ხელფასების გაცემა.

18. ბალანსის შედგენის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ბალანსის შედგენის შემდეგ, კალენდარული წლის ბოლოს კომპანიამ დაასრულა მშენებლობა, რის შემდეგაც 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოახდინა დაუმთავრებელი მშენებლობის მუხლიდან შენობების მუხლში აქტივის გადატანა. სხვა სახის მნიშვნელოვანი მოვლენა კომპანიაში არ მომხდარა.

დამოუკიდებელი აუდიტორის წერილი

შპს “სკოლა ევრო 2000“-ის დამფუძნებლებსა და მენეჯმენტს

თქვენი 2020 წლის 19 მარტით დათარიღებული მმართველობის ანგარიშგების, საპასუხოდ: გაცნობებთ, რომ ჩვენ წავიკითხეთ თანდართული დოკუმენტი და მივიჩნიეთ რომ:

აუდიტს წარვმართავდით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონი მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოების ვალდებულებიდან გამომდინარე, საქართველოს კანონის - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტით განსაზღვრული სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად.

1. კომპანიამ, აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებასთან ერთად მოამზადა მმართველობის ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონისა და სხვა მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად.

2. ჩვენ მიერ ჩატარებული პროცედურების შედეგად, არ შეგვიძინებია რაიმე არსებითი შეუსაბამოები, რაც მიგვანიშნებდა მმართველობის ანგარიშგების მოუმზადებლობაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფუძვლების მიხედვით.

ზემოთაღნიშნული 1-ლი და მე-2 პუნქტის წაკითხვა უნდა მოხდეს ქვემოთ მოცემულ აზრებთან, რომელიც მიჯნავს ხელმძღვანელობისა და აუდიტორის პასუხისმგებლობებს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე, საჯარო დაინტერესების პირები, ასევე პირველი და მეორე კატეგორიის საწარმოები ვალდებულნი არიან, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ თავიანთ აუდიტორს და აუდიტორი შეამოწმებს ანგარიშგება მოიცავს თუ არა აღნიშნული კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტითა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ინფორმაციებს.

ზემოთ აღნიშნული ნორმატიული ნორმების შესაბამისად ხელმძღვანელობა ამზადებს

მმართველობის ანგარიშგებას, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- კომპანიის განვითარების გეგმებს;
- კომპანიის მიერ წარმოებული კვლევების მიმოხილვას;
- ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონთან შესაბამისობის სხვა საკითხებს (იმ შემთხვევაში თუ რელევანტურია კომპანიისთვის). აუდიტორის პასუხისმგებლობა ჩვენ არ გამოვხატავთ რაიმე ტიპის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშგებასთან დაკავშირებით. ჩვენი, როგორც აუდიტორების, პასუხისმგებლობა განსაზღვრულია მხოლოდ იმით, რომ გავცნოთ მმართველობის ანგარიშგებას და შევაფასოთ;
- რამდენად არსებითად თანმიმდევრულია სხვა ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებასთან და;
- რამდენად შეიცავს ყველა იმ ინფორმაციას, რაც დადგენილია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით.

ჩვენს მიერ, 2020 წლის 5 მაისს გამოშვებულია დასკვნა კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შესახებ დათარიღებული 2019 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით და ამ წერილის წაკითხვა უნდა მოხდეს აღნიშნულ დასკვნასთან ერთად.

მოცემული მმართველობითი ანგარიშგების აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორი არის ნატო რომანაძე.

შპს „პრესტიჟ-აუდიტი“-ს

გარიგების პარტნიორი:

ნატო რომანაძე (SARAS-A-526843)

10 მაისი, 2020 წელი



საქმიანობის მიმოხილვა

ზოგადი ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ

შპს სკოლა ევრო-2000 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაა. მისი დამფუძნებლები არიან:

- მარინა ცივაძე - 50%;
- ანზორ აბუსერიძე - 50%

აღმასრულებელი ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა აკისრია დირექტორებს - მარინა ცივაძეს და ანზორ აბუსერიძეს.

საწარმოს ადგილმდებარეობა

სკოლის იურიდიული მისამართია: 6000, საქართველო, ქალაქი ბათუმი, ზ. გორგილაძის ქ. #89, ელფოსტა: euro2000b@gmail.com, ვებ-გვერდი: www.euro-2000@edu.ge

სკოლის, როგორც „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი კერძოსამართლის სუბიექტის, მართვის უმაღლესი ორგანოა პარტნიორთა კრება. ამასთან, სკოლა წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას. ადგილების ზვრული რაოდენობა გათვლილია 1050 მოსწავლეზე.

შპს სკოლა ევრო 2000-მა 1999 წლიდან დღემდე არსებობის მანძილზე შექმნა მოსწავლეთათვის სათანადო პირობები საერთაშორისო სტანდარტების მქონე განათლების მისაღებად. დაამკვიდრა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, შესძინა მათ თვითრეალიზაციისათვის საჭირო ცოდნა და ცნობიერება.

სათანადო მატერიალურმა ბაზამ და ეფექტურმა სასწავლო გარემომ უზრუნველყო მოსწავლეთათვის ხარისხიანი განათლების მიღება.

სკოლა ევრო 2000-მა მიიღო ახალი გამოწვევები, შექმნა თანამედროვე სტანდარტების კონკურენტუნარიანი სკოლა და ორიენტაცია აიღო გრძელვადიან მიზნებზე - როგორცაა მატერიალური ბაზის გაუმჯობესება, კერძოდ სკოლის დამატებითი ფართის მშენებლობა, ასევე თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სასწავლო პროცესის ორგანიზება.

მიზნები და ამოცანები

ორგანიზაციის მიზანია შეუქმნას მოსწავლეს სათანადო პირობები საერთაშორისო სტანდარტების მქონე განათლების მისაღებად.

მისია

სკოლა ევრო 2000-ის მისიაა აღზარდოს თავისუფალი, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი პიროვნება, რომელსაც ექნება განვითარებული გონებრივი და

ფიზიკური უნარ-ჩვევები, დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული სამოქალაქო ცნობიერება და პასუხისმგებლობა ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე. საერთაშორისო კავშირების დამყარება-ამოქმედება, გაცვლითი სასწავლო პროგრამებში მონაწილეობა, მოსწავლეების მომზადება საერთაშორისო საგანმანათლებლო სისტემაში ინტეგრაციისათვის.

წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები

1. სკოლაში ჯანსაღი სასწავლო - სამუშაო პირობებისა და უსაფრთხო გარემოს დამკვიდრება და უზრუნველყოფა;
2. ურთიერთპატივისცემისა და თანასწორობის საფუძველზე სკოლის მართვის დემოკრატიული სისტემის არსებობა;
3. სკოლის გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ობიექტურობა
4. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სამართლიანობის პრინციპების დაცვით სასკოლო საქმიანობის წარმართვა;
5. მოსწავლეთა ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობი გარემოს ფორმირება, პრევენციული ღონისძიებების გატარება;
6. პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავება საერთაშორისო საგანმანათლებლო სისტემაში ინტეგრაციისთვის;
7. სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სისტემატიური გაუმჯობესება, სკოლისთვის დამატებითი ფართის მშენებლობა, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ახალი სპორტული მოედნის მოწყობა, კაბინეტების აღჭურვა სათანადო ინვენტარით, ბიბლიოთეკის უზრუნველყოფა კომპიუტერებით და სამკითხველო დარბაზის გაფართოება, ახალი საკონფერენციო დარბაზის მოწყობა, ევრო სტანდარტებით აღჭურვილი სასადილოს მოწყობა, სკოლის აიტ ტექნოლოგიებით აღჭურვა.
8. მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გარემოს არსებობა;
9. სწავლა - სწავლების ხარისხის ამაღლებისა და ეფექტური სასწავლო გარემოს არსებობა;
10. ინკლუზიური განათლების განხორციელებისათვის ადაპტირებული გარემოს ფორმირება სკოლაში.
11. მოსწავლეთა და მასწავლებელთა მასტიმულირებელი ბერკეტებისა და წამახალისებელი ფორმების ეფექტურად გამოყენება;
12. მასწავლებელთა სახელფასო ზრდა;
13. მასწავლებელთა უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა და ხელშეწყობა;
14. ეფექტური მენეჯმენტის განხორციელება.

რესურსები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

სკოლის მისიის უზრუნველყოფისათვის მთავარ მიმართულებას წარმოადგენს მატერიალური რესურსი. სკოლას საკუთრებაში აქვს შენობა, რომელიც გამოიყენება მისიით განსაზღვრული მიზნების რეალიზებისათვის და შეესაბამება მოქმედ სტანდარტებს. მოსწავლეებისათვის განსაკუთრებულ კომფორტს ქმნის ახალი კორპუსი რომელიც აღჭურვილია თანამედროვე სასწავლო და ტექნოლოგიური რესურსებით და კვების ბლოკით.

სკოლას საკუთრებაში აქვს მდიდარი ბიბლიოთეკა, ადაპტირებული გარემო შშმ მოსწავლეებისთვის. ყოველივე ზემოთ ხსენებული უზრუნველყოფს, როგორც მოსწავლეებისთვის ასევე თანამშრომლებისთვის კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნას.

საერთაშორისო ინტეგრაცია

მისიიდან გამომდინარე სკოლა 2003 წლიდან გახდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს, გოეთეს ინსტიტუტთან, უცხოეთში მოქმედ გერმანულ სახელმწიფო საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან DAAD-ის, ZFA-სა და PAD-ის ინიციატივის „სკოლები - მომავლის პარტნიორები“ (Schulen: Partner der Zukunft) წევრი, რომლის მიზანია, უცხოეთში გერმანიის, გერმანული კულტურისა და ენის მიმართ ინტერესის გაღვივება, ახალგაზრდების გერმანული ენის სწავლებისადმი მოტივირება, პედაგოგთა კვალიფიცირება და პარტნიორი სკოლების მხარდაჭერა, მათი კონტაქტების უზრუნველყოფა. სწორედ ამავე მიზნებითა და ქართველ მოზარდებში ევროპული განათლებისადმი ინტერესისა და ხელშეწყობის მიზნით გახდა სკოლა ევრო-2000 ამ ინიციატივის წევრი და აქტიურად არის ჩართული აქტივობებში.

2009 წლიდან ევრო-2000_სს პარტნიორობა აქვს გერმანიის ქალაქ ელმსჰორნის ბისმარკის სახელობის გიმნაზიასთან. პარტნიორობის მთავარი მიზანი გაცვლითი პროგრამების განხორციელებაა წელიწადში ერთჯერ. პროგრამის ფარგლებში ხდება მოსწავლეთა ჯგუფების სტუმრობა პარტნიორ სკოლებში. მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება გაეცნონ გერმანულ სკოლის სისტემას, გერმანულ ყოფას და წეს-ჩვეულებებს, გაიუმჯობესონ ენის ცოდნა, შეიძინონ ახალი მეგობრები. გერმანელი და ქართველი მოსწავლეები ერთობლივად მონაწილეობენ სხვადასხვა კულტურულ, შემოქმედებით და სასწავლო ღონისძიებებში, მასტერკლასებსა და ექსკურსიებში.

2011 წლის სექტემბრიდან სკოლა ოფიციალურად ფუნქციონირებს როგორც გერმანული ენის მეორე საფეხურის დიპლომის სკოლა (DSD II B2 – C1), ხოლო 2013 წელს სკოლას მიენიჭა გერმანული ენის პირველი საფეხურის დიპლომის პროგრამის განხორციელებისა და გამცდების ჩატარების უფლება. დიპლომისთვის მოსწავლეთა მომზადება და გამოცდები დღემდე წარმატებით მიმდინარეობს. სკოლაში გერმანული ენის მეორე საფეხურის B2 – C1 დიპლომი დღემდე 99 მოსწავლემ მოიპოვა, ხოლო პირველი საფეხურის B1 დიპლომის მფლობელე უკვე 187 მოსწავლეა. სკოლის ხუთმა კურსდამთავრებულმა მოიპოვა გერმანიის აკადემიური გაცვლითი სამსახურის (DAAD) საბაკალავრო სტიპენდია და ამჟამად სრული დაფინანსებით სწავლობენ გერმანიის უნივერსიტეტებში მიუნხენში, კარლსრუეში, მარბურგსა და მანჰაიმში. გერმანული ენის დიპლომის მქონე 40-ე მეტი კურსდამთავრებული წარმატებით სწავლობს ბერლინში, ჰამბურგში, ლაიფციგში, მარბურგში, დარმშტადტში, ჰალეში და სხვა ქალაქებში.

მართვა და კომუნიკაცია

მართვის და ორგანიზაციული განვითარების მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღების დელეგირება, ასევე ეფექტური კომუნიკაციის ჩამოყალიბება ორგანიზაციის მმართველ რგოლებსა და თანამშრომლებს შორის. ორგანიზაციის ფუნქციონირების პერიოდში ფაქტობრივად ჩამოყალიბდა კომუნიკაციის, დელეგირების

გუნდის შექმნის, გადაწყვეტილების მიღების მმართველობითი სისტემა, რაც დაფუძნებულია შემდეგ პრინციპებზე:

- ✓ ყოველი პოზიციისთვის თანამდებობრივი ინსტრუქციის არსებობა;
- ✓ სათანადო დელეგირება შესაბამისი უფლებამოსილებით;
- ✓ ორგანიზაციის ყველა თანამშრომლებს შორის მუდმივი ინტერაქცია;
- ✓ კარგი ინტრაორგანიზაციული კომუნიკაციური სისტემა მათ შორის უკუკავშირის მექანიზმებით;
- ✓ რეგულარული, მიზანპიპართული და კარგად ორგანიზებული შეხვედრები თანამშრომლებთან;
- ✓ თანამშრომელთათვის ერთმანეთის როლების და ფუნქციების გაცნობა.

სტრატეგიული განვითარება

სკოლის სტრატეგიული განვითარება ხორციელდება წინასწარ შემუშავებული 6 წლიანი სტრატეგიული გეგმის შესაბამისად, რომელიც ადგენს სკოლის სტრუქტურული ერთეულების სტრატეგიის განსაზღვრის ზოგად წესს - პროცედურას, აყალიბებს მისი პრაქტიკულად განხორციელების მექანიზმს. მასზე დაყრდნობით ორგანიზაცია ადგეს, ყოველი განსაზღვრული პერიოდისათვის, სტრატეგიულ დაგეგმვას, შეიმუშავებს ყოველწლიურ სამუშაო გეგმას - 1 წლიან სამოქმედო გეგმას. სტრატეგიული გეგმა არის მართვის სისტემა, რომელიც მოწოდებულია განავითაროს სკოლა ფაქტობრივი მდგომარეობიდან სასურველ შედეგამდე. სტრატეგიულ გეგმის პრაქტიკული განხორციელების მექანიზმს ქმნის მოკლევადიანი და ყოველწლიური სამოქმედო გეგმა. ყოველწლიურად, სტრატეგიული გეგმის შესრულების შესახებ, ორგანიზაცია აწარმოებს მონიტორინგს და აკეთებს შეფასებას.

რისკები და მათი მართვის სტრატეგია

სტრატეგიული გეგმის და საქმიანობის წარმატებულად განხორციელებისას ყოველთვის არსებობს შიდა და გარე რისკები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია. სკოლის საქმიანობისას არსებულ რისკებს წარმოადგენს კონკურენცია, რესურსების განვითარების შეფერხება, ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, კვალიფიციური ადამიანური რესურსების გადინება. რისკის მართვისას სკოლა აქცენტს აკეთებს საერთაშორისო კავშირების დამყარება - ამოქმედებაზე. გაცვლით სასწავლო პროგრამებში მონაწილეობაზე, რესურსების განვითარების შეფერხების

აღნიშნული რისკების მართვისას სკოლა იყენებს შემდეგ სტრატეგიას - კონკურენციის რისკის მართვისას სკოლა აქცენტს აკეთებს საერთაშორისო კავშირების დამყარება-ამოქმედებაზე, გაცვლით სასწავლო პროგრამებში მონაწილეობაზე, რესურსების განვითარების შეფერხების რისკის მართვას სკოლა ახორციელებს კარგად გააზრებული კაპიტალური განვითარების დაგეგმარების მეშვეობით, რომელიც ყოველწლიურად ხორციელდება და ნაწილობრივ გათვალისწინებულია სტრატეგიული განვითარების გეგმით.

ხშირი საკანონმდებლო ცვლილებების რისკის მართვას სკოლა უზრუნველყოფს კვალიფიციური კადრების გამოყენებით საქმიანობის საკანონმდებლო ჩარჩოებში მოქცევის მეშვეობით;

კვალიფიციური ადამიანური რესურსების გადინების რისკის მართვა ხორციელდება მოტივაციის სქემების დანერგვის მეშვეობით და მუდმივი სახელფასო სარგოს ზრდით.

ამდენად სკოლას მისი საქმიანობისას არსებული რისკების მართვის შესაძლებლობა გააჩნია.

SWOT ანალიზი

Strengths - ძლიერი მხარე

- 20 წლის განმავლობაში უწყვეტად საგანმანათლებლო ბაზარზე სტაბილური ოპერირება
- გამოცდილი, კომპანიასთან ერთად გაზრდილი კადრები
- ფინანსური სტაბილურობა
- მოტივირებული და შედეგზე ორიენტირებული მენეჯმენტი

Weaknesses – სუსტი მხარე

- არასაკმარისი ადამიანური რესურსი
- ტრენინგების, სემინარების, სწორი უნარჩვევების შეძენის შესაძლებლობების დაბალი სიხშირე

Opportunities - შესაძლებლობები

- სტანდარტის შესაბამისი მატერიალური ბაზა
- მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება
- პარტნიორული კავშირები
- მაღლი ცნობადობა და მოთხოვნა

Threats – საფრთხეები

- საგანმანათლებლო ბაზარზე არსებული კონკურენცია

შპს „სკოლა ევრო-2000“

15.04.2020 წელი

მარინა ცივაძე

ანზორ აბუსერიძე

კვალიფიციური ადამიანური რესურსების გადინების რისკის მართვა ხორციელდება მოტივაციის სქემების დანერგვის მეშვეობით და მუდმივი სახელფასო სარგოს ზრდით. ამდენად სკოლას მისი საქმიანობისას არსებული რისკების მართვის შესაძლებლობა გააჩნია.

SWOT ანალიზი

Strengths - ძლიერი მხარე

- 20 წლის განმავლობაში უწყვეტად საგანმანათლებლო ბაზარზე სტაბილური ოპერირება
- გამოცდილი, კომპანიასთან ერთად გაზრდილი კადრები
- ფინანსური სტაბილურობა
- მოტივირებული და შედეგზე ორიენტირებული მენეჯმენტი

Weaknesses - სუსტი მხარე

- არასაკმარისი ადამიანური რესურსი
- ტრენინგების, სემინარების, სწორი უნარჩვევების შეძენის შესაძლებლობების დაბალი სიხშირე

Opportunities - შესაძლებლობები

- სტანდარტის შესაბამისი მატერიალური ბაზა
- მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება
- პარტნიორული კავშირები
- მაღლი ცნობადობა და მოთხოვნა

Threats - საფრთხეები

- საგანმანათლებლო ბაზარზე არსებული კონკურენცია

შპს „სკოლა ევრო-2000“

15.04.2020წ.

მარინა ცივაძე

ანზორ აბუსერიძე

